საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №31

ქ. თბილისი 22.12.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭიღლაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლაშა მარგიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ფურცხვანიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. თამარ ვაჩაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის კანცლერი;
2. ნადეჯდა მანჯავიძე - სსიპ - ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
3. ლევან ხარატიშვილი - შპს - ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის აღმასრულებელი დირექტორი;
4. ალექსანდრე ვაშაკიძე - შპს - ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის გენერალური დირექტორი;
5. იოსებ გუტაშვილი - შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვის დირექტორი;
6. ლევან სულთანიშვილი - შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვის სასწავლო პროცესის კოორდინატორი;
7. რევაზ ნაკაშიძე - შპს - ახალგაზრდობის დამფუძნებელი;
8. ლუიზა თუთარაშვილი - შპს - ფრანგული სკოლის დირექტორი;
9. თამარ საღინაშვილი - შპს - თამარ გარეჯელის დირექტორი;
10. დარეჯან ჩხიროძე - შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ - კომპლექს ,,გონის'' დიერქტორი;
11. ირინე ჩაჩუა - შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ - კომპლექს გონის წარმომადგენელი;
12. ანა უსტიაშვილი - შპს - საბაზო სკოლა მწიგნობარის დირექტორი;
13. ელენე შიოშვილი - შპს - საბაზო სკოლა მწიგნობარისისტ მენეჯერი;
14. ნინო სოზიაშვილი - შპს - საბაზო სკოლა მწიგნობარის დისციპლინარული მენეჯერი;
15. ნანა ზურაბიშვილი - კერძო საშუალო სკოლა სპს - დავითიანის - აღმასრულებელი დირექტორი;
16. ელენე გიორგაძე - კერძო საშუალო სკოლა სპს - დავითიანის - აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;
17. ნარგიზ გაბაძე - ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის სასულიერო სკოლა - პანსიონის დირექტორი;
18. მამა არკადი (ივანიშვილი) - ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის სასულიერო სკოლა - პანსიონის წარმომადგენელი;
19. ნინო - ჩიკვაშვილი - შპს - ქართულ - ამერიკული სკოლა პროგრესის დირექტორი;
20. გოჩა ლომიძე - შპს - სინათლე კერძო სკოლის დირექტორი;
21. ხვიჩა ბალახაშვილი - შპს - სინათლე კერძო სკოლის დირექტორის მოადგილე;
22. ნაიარ ლომიძე - - შპს - სინათლე კერძო სკოლის მრჩეველი;
23. ბეატრის რუსია - შპს - არეას - დირექტორი;

ავტორიზაციის ექსპერტები:
ლიანა ჩარკვიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მარიამ ხუციშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
მიხეილ ტეფნაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ლეილა გველესიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ჟვანია- ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ბალანჩივაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ირინა დვალი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ლიანა კობესაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნელი ნასყიდაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
იანინა გიგიბერია - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაკა ტუკვაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნათია ქაჯაია - ავტორიზაციის ექსპერტი;

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:48 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - ახალგაზრდობის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ფრანგული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - თამარი გარეჯელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ - კომპლექსი გონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - საბაზო სკოლა მწიგნობარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. კერძო საშუალო სკოლა სპს - დავითიანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის სასულიერო სკოლა - პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - ქართულ - ამერიკული სკოლა პროგრესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - ,,ლამპარი'' საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი,საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - სინათლე კერძო სკოლია ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - არეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სსიპ - განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგიდან ამოეღოთ შპს - ,,ლამპარი'' საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლის ავტორიზაციის განხილვის საკითხი, რადგანაც წარმოდგენილ იქნა დაწესებულების შუამდგომლობა, რომლითაც ის ითხოვდა საკითხის განხილვის გადადებას მისი დირექტორის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო შუამდგმლობა და კენჭისყრაზე დააყენა მისი დაკმაყოფილების საკითხი, რასაც საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - ახალგაზრდობის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ფრანგული სკოლისავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - თამარ გარეჯელისავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ - კომპლექსი გონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - საბაზო სკოლა მწიგნობარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. კერძო საშუალო სკოლა სპს - დავითიანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის სასულიერო სკოლა - პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - ქართულ - ამერიკული სკოლა პროგრესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - სინათლე კერძო სკოლია ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - არეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1.ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ჰქონდა თუ არა მას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის კანცლერმა - თამაზ ვაჩაძემ წარმოადგინა მინდობილობა, რომელიც დაერთო ოქმს.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტი ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე № 53 ა-ში, საქართველოს საპატრიარქოსთან გაფორმებული 10 წლიანი თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 3969,1 კვ მ ფართს. (საკადასტრ ო კოდი №01.14.07.007.033), აქედან სასწავლო მიზნებისათვის გამოიყენება –1613.1 კვ.მ ხოლო დამხმარე მიზნებისთვის 2356 კვ.მ. ამავე მისამართზე დასრულებულია და სასწავლო პროცესის მიზნების შესაბამისად აღჭურვილია უნივერსიტეტის მეორე კორპუსიც- რომლის საერთო ფართი შეადგენს 1983.85 კვ.მ-ს აქედან სასწავლო მიზნებისათვის გამოიყენება –1031.4 კვ.მ ხოლო დამხმარე მიზნებისთვის 952.45 კვ.მ.(ვინაიდან მიმდინარეობს აღნიშნული კორპუსის ექსპლუატაციაში მიღება შესაბამისი სამსახურების მიერ, საჯარო რეესტრში ის დარეგისტრირებული არ არის. მეორე კორპუსის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ უნივერსიტეტის საერთო ფართი იქნება 5953კვ. მ, ხოლო სასწავლო ფართი 2645 კვ.მ.

უნივერსიტეტის საკუთრებაშია 125 მაღალი სიხშირის კომპიუტერი, პროექტორები, უახლესი ტექნიკური აღჭურვილობის ლაბორატორიები, კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდით შეადგენს 17111 ერთეულს.

2010-2011 სასწავლო წელს ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების

დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე აკადემიურ თანამდებობებზე არჩეულ იქნა 3 2 პროფესორი (1 6 სრული, 1 2 ასოცირებული და 4 ასისტენტ–პროფესორი). თანამდებობაზე მყოფი პირები აკმაყოფილებენ შესაბამისი თანამდებობის დაკავებისთვის კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი ამჟამად ანხორციელებს სამივე საფეხურის 49 საგანმანათლებლო პროგრამას, აქედან 10 საბაკალავროს, 21 სამაგისტროს და 18 სადოქტოროს. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აკადემიური პერსონალი იძლევა ამ პროგრამების განხორციელების საშუალებას.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნია სამომავლო პერსპექტივა 1250 სტუდენტისათვის საგანმანათლებლო მომსახურების გასაწევად , რაც გაწერილია წლებზე.

თავჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭოს შეეძლო გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამისად, საბჭო ეყრდნობა საჯარო რეესტრის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც დაწესებულების საერთო ფართი შეადგენს 3969,1 კვ. მ.-ს.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი სტუდენტი ირიცხებოდა უნივერსიტეტში ამ ეტაპზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ამჟამად უნივერსიტეტში სწავლობს 495 სტუდენტი.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტის მიღებას. ექსპერტი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 1250 სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

ცენტრის წარმომადგენელმა ნანა ჭიღლაძემ აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსის სტანდარტის გათვალისწინებით, სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება ყოფილიყო 1000.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით.

2. სსიპ - ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 205-ით განსაზღვრა. დირექტორის განმარტებით, მათ ძველი ლიცენზიით 205 სტუდენტი ყავდათ განსაზღვრული.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა იკითხა რამდენად იყო შესაძლებელი 80 მერხით 205 პროფესიული სტუდენტის უზრუნველყოფა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით პროგრამების სპეციპიკიდან გამომდინარე (სახელოვნებო სპეციალობები) დაწესებულება სრულად უზრუნველყოფდა პროფესიული სტუდენტების მოთხოვნილ ოდენობას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრი აცხადებდა თანხმობას დაწესებულებისათვის განსაზღვრულიყო 200 პროფესიული სტუდენტის ოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა – სსიპ - ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 218083302) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

3. შპს - ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 550-ით განსაზღვრა.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი მერხი ჰქონდა დაწესებულებას.

შპს - ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა 370 ინდივიდუალური მერხი და რამოდენიმე ოვალური მაგიდა, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, აღნიშნა, რომ საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია მსგავსი მაგიდების გამოყენება სასწავლო პროცესში.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ექსპერტი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 550 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს - ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისს შეეძლო 550 მოსწავლისათვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 550-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205089526) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550-ით.

4. შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია. იმისათვის, რომ ლაბორატორია შეესაბამებოდეს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ლაბორატორიული აღჭურვილობის სრულყოფისათვის სკოლამ შპს - ,,ჯეო დეკორთან" გააფორმა ხელშეკრულება (თანხა 2564 ლარი სრულადაა გადახდილი). აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს 2011 წლის 30 დეკემბრამდე.

1.2 წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავს უსაფრთხოების მენეჯერი და ღამის დარაჯი. სკოლას მანდატური არ ჰყავს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა იოსებ გუტაშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან 2011 წლის 21 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება (ხელშეკრულების №99). დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაცის საბჭოს წევრებს ასევე წარუდგინა დამატებითი მერხების შეძენის დოკუმენტაციაც.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 300-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 300 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვს (საიდენტიფიკაციო კოდი: 208206895) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

5. შპს - ახალგაზრდობის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამები;

1.1 დაწესებულებას ამჟამად არ ჰყავს სსსმ მოსწავლე და არც მოდიფიცირებული გეგმა არა აქვს შემუშავებული.

1.2 დაწესებულებას აქვს ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიებისათვის საჭირო ინვენტარი: სინათლის მიკროსკოპი–2, სხვადასხვა ქიმიური რეაქტივები, ფაიფურის ჯამები, ბიურექსები, კოლბები სხვადასხვა–17 ცალი, სინჯარები, პიპეტები, შტატივები, თვალსაჩინოება ადამიანის ანატომიური აგებულებაზე–11ცალი. ხოლო ფიზიკის ლაბორატორიისათვის საჭირო ინვენტარი არ აქვს.

2. მატერიალური რესურსი:

2.1 დაწესებულებას არ ყავს მანდატურის სამსახური.

2.2 აღსანიშნავია, რომ შრომითი ხელშეკრულებები დადებულია აკადემიურ პერსონალთან, თუმცა შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული დაქირავებულის სამუშაოს მოკლე აღწერა. ასევე, არ არის მითითებული შრომის ანაზღაურება, სამუშაო დრო, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ზოგან არ არის მითითებული, რომელ საგანს ასწავლის.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შპს - ახალგაზრდობას უკვე ჰქონდა შემუშავებული ინკლუზიური განათლების მოდიფიცირებული გეგმა, რაც წარმოადგინა საბჭოს სხდომაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ფიზიკის ლაბორატორიისათვის საჭირო ინვენტარი შპს - ახალგაზრდობას გააჩნდა, რის დასადასტურებლადაც საბჭოზე წარმოდგენილ იქნა შპს - ახალგაზრდობის ქონების აღწერის შესახებ აუდიტორული დასკვნა და ჩუქების ხელშეკრულება, სადაც მითითებული იყო ფიზიკის ლაბორატორის ინვენტარის ფლობის შესახებ.

დაწესებულების ხელმძღვანელმა წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან 2011 წლის 22 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება (ხელშეკრულების №105).

საბჭომ გაითვალისწინა მანდატურის სამსახურთან დადებული ხელშეკრულება და აღნიშნული შენიშვნა მოხსნილ იქნა.

თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა, კითხვით გამოსწორებული იყო თუ არა დასკვანაში მითითებული შენიშვნები და წარმოდგენილი დოკუმენტები საბჭოზე გამოაქვეყნა.

ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა განმარტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ინკლუზიური განათლების გეგმა არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოკუმენტაცია, რომელიც ფიზიკის ლაბორატორიის ფლობას ადასტურებდა, ექსპერტებს ვიზიტის დროს ვერ წარუდგინეს, ბუღალტრის დაწესებულებაში არ ყოფნის გამო.

დავით კახნიაშვილმა იკითხა, რამდენად საკმარისი იყო ბიოლოგიისა და ქიმიის ლაბორატორიები.

ნელი ნასყიდაშვილის განმარტებით, ბიოლოგიისა და ქიმიის ლაბორატორიისათვის საჭირო ინვენტარი დაწესებულებას საჭიროზე მეტი ჰქონდა.

ლალი ღოღელიანის განმარტებით, ბევრი ხელსაწყოს გამოყენება ქიმიის ლაბორატორიიდან შეიძლებოდა - ფიზიკაშიც.

დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ლაბორატორიის სრულყოფის მიზნით შპს - ახალგაზრდობა დამატებით შეიძენდა სხვადასხვა ინვენტარს, განსაკუთრებით კი ფიზიკის ლაბორატორიისათვის.

თავმჯდომარე დაინტერესდა შპს - ახალგაზრდობის მიერ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით და თხოვა ექსპერტებს განემარტათ, იყო თუ არა ხელშეკრულებები წერილობითი ფორმით დადებული, რაც ექსპერტებმაც დაადასტურეს. თავმჯდომარის განმარტებით საქართველოს კანონმდებლობა შრომითი ხელშეკრულებისათვის ზეპირი ფორმით არსებობასაც ითვალისწინებდა, ასევე არ იყო კანონმდებლობით დადგენილი უნდა შეიცავდეს თუ არა შრომითი ხელშეკრულება სამუშაოთა აღწერილობებს (ე.წ. job description-ებს), რის გამოც შესაძლებელი იყო შენიშვნის მოხსნა, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 180-ით განსაზღვრა.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი მერხი ჰქონდა დაწესებულებას.

შპს - ახალაგზრდობის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა წარმოდგენილი ხელშეკრულება მერხების დამზადებისა და შეძენის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ შპს - ახალგაზრდობას არ ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა გადახდილი, შესაბამისად უტყუარად დასტურდებოდა მხოლოდ 80 მერხის ფლობა.

ცენტრის წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 80 მოსწავლისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - ახალგაზრდობას ასევე ჰქონდა ოვალური მაგიდები, რაც

ექსპერტმა მაკა ტუკვაძემ არ დაადასტურა. მისი განმარტებით, ერთი ოვალური მაგიდა იდგა მხოლოდ სამასწავლებლოში.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა კენჭისყრამდე ჯერ განეხილათ დაწესებულების პირობების პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხიც.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა დაწესებულების პირობები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების ნაწილში, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის საფუძველზე, ავტორიზაციის მაძიებელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, ასევე სურს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი შენიშვნები.

1.საგანმანათლებლო პროგრამები;

დაწესებულებას აქვს 9 საგანამანათლებლო პროგრამა, რომელიც არ შეესებამება კანონმდებლობის მოტხოვნებს.

1.1. <u>საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი</u>

1.1.1 პროგრამის კვალიფიკაცია არ შეესაბამება ბუღალტრის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სტანდარტით ენიჭება ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მოანგარიშე, ხოლო დაწესებულების პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის: საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი(მესამე საფეხური);

1.1.2 პროგრამის მოცულობა არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. სტანდარტის მიხედვით, მესამე საფეხურის ბუღალტრის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 30 კრედიტს, საიდანაც მინიმუმ 40% ეთმობა - სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას, ხოლო წარმოდგენილი პროგრამის კრედიტების რაოდენობაა 30,5 კრედიტი, საიდანაც მხოლოდ 4 კრედიტი(100 საათი) ეთმობა საწარმოო პრაქტიკას, ნაცვლად - 12,2 კრედიტისა(292,8 სთ);

1.1.3 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, კერძოდ, მესამე საფეხურის პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს დასრულებული „კბილის ტექნიკოსის პირველი და მეორე საფეხური“ ;

1.1.4 არ არის განსაზღვრული პროგრამის მიზანი;

1.1.5 საერთოდ გაუგებარია პროგრამაში ასახული სწავლის შედეგები, რომელიც სრულ შეუსაბამობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

1.1.6 ზოგადი კომპეტენციები არ შეესაბამება საფეხურის მოთხოვნებს;

1.2 <u>ტურიზმის მენეჯერი</u>

1.2.1 კვალიფიკაცია არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს: ნაცვლად ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა(რომელიც ფუნქციურად ყველაზე ახლოს

დგას ტურიზმის მენეჯერთან) კურსდამთავრებულს ენიჭება ტურიზმის მენეჯერი. ტურიზმის მენეჯერი არ არის გათვალსიწინებული პროფესიულ კვალიფიკციებში.

1.2.2 შეუსაბამობაა პროგრამის მოცულობაშიც: ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას, ხოლო დაწესებულების სპეციალობა (რომელიც ფუნქციურად ახლოს დგას, მაგრამ სახელწოდებით არ შეესაბამება სტანდარტის კვალიფიკაციას) მოიცავს 22,5 კრედიტს, ნაცვლად 60-ისა, აქედან გამომდინარე ბუნებრივია არ იქნება შესაბამისობაში საწარმოო პრაქტიკისათვის საკმარისი კრედიტების რაოდენობა (100 საათის ნაცვლად საწარმოო პრაქტიკისათვის გამოყოფილი უნდა იყოს 600 საათი);

1.2.3 არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებიც, კერძოდ, პროგრამაში ნათქვამია, რომ მესამე საფეხურის პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს დასრულებული „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და ზოგადი განათლება, პროფესიული სწავლების ტურიზმის მენეჯერი სპეციალობის I და II საფეხური“;

1.2.4 ზოგადი კომპეტენციები არ შეესაბამება საფეხურის მოთხოვნებს;

1.2.5 პროგრამის მისაღწევი შედეგები ასევე არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

1.3 ფარმაცევტის თანაშემწე

1.3.1 კვალიფიკაცია არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. კერძოდ, ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული პროგრამა სტანდარტით არის ერთსაფეხურიანი და შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრეულს ენიჭება ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა დიპლომი, ხოლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა: ფარმაცევტის თანაშემწე (მზა წამლებით ვაჭრობის კვალიფიკაციით) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია; დაწესებულებას სტატუსის მოპოვების შემთხვევაში შეუძლია, მხოლოდ პირველი-სამი საფეხურის პროფესიული პროგრამების განხორციელება. ფარმაცევტის თანაშემწის სტანდარტის მიხედვით პროფესია მხოლოდ მეხუთე საფეხურს მოიცავს. რისი განხორციელების უფლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას არ გააჩნია.

1.3.2 შეუსაბამობაა პროგრამის მოცულობაშიც, ნაცვლად 60 კრედიტისა, ის შეადგენს 36,5 კრედიტს, აქედან გამომდინარე არასაკმარისია საწარმოო პრაქტიკისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, ნაცვლად 36 კრედიტისა(900 საათი)-სა გამოყოფილია 5 კრედიტი(125 საათი), რამეთუ სტანდარტის მიხედვით, ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 40% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, 60% - საწარმოო პრაქტიკას;

1.3.3 შეუსაბამოა პროგრამაზე დაშვების წინაპირობაც: სულ სტანდარტით არის ერთსაფეხურიანი ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული განათლება და დაწესებულება კი ითხოვს I და II საფეხურების, ანუ არარსებული საფეხურების დასრულების აუცილებლობას, როდესაც დაშვების წინაპირობებში გასათვალისწინებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტის ჩაბარება.

1.3.4 ზოგადი კომპეტენციები არ შეესაბამება საფეხურის მოთხოვნებს

1.3.5 პროგრამის სწავლის შედეგები ასევე არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს;

1.4 <u>კოსმეტოლოგ-მასაჟისტი</u>

1.4.1 კვალიფიკაცია არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. კერძოდ, ნაცვლად მასაჟისტის მესამე“ საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა პროგრამა ანიჭებს კოსმეტოლოგ-მასაჟისტის III საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციას.

1.4.2 არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან პროგრამის მოცულობა. ჯერ საერთოდ გაურკვეველია რომელი საფეხურის პროგრამაა, მესამე საფეხურის შემთხვევაში ნაცვლად 60 კრედიტისა პროგრამის მოცულობა შეადგენს 28,5 კრედიტს, ბუნებრივია შეუსაბამობაა სასწავლო პრაქტიკისათვის გამოყოფილ მოცულობაშიც;

1.4.3 მისანიჭებელი კვალიფიკაციის შეუსაბამობიდან გამომდინარეობს პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შეუსაბამობაც: „დასრულებული აქვს პროფესიული სწავლების კოსმეტოლოგ-მასაჟისტის I და II საფეხური“, რამეთუ ასეთი საფეხურები არ არსებობს;

1.4.4 ზოგადი კომპეტენციები არ შეესაბამება საფეხურის მოთხოვნებს;

1.4.5 პროგრამის მისაღწევი შედეგები ასევე არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს;

1.5 საოფისე საქმის მწარმოებელი

1.5.1 საოფისე საქმის მწარმოებლის პროფესია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ არის გათვალისწინებული. სტანდარტის მიხედვით არსებობს ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) პროფესიული კვალიფიკაცია, რომელიც მოიცავს სამ საფეხურს (II, III, IV) მოცულობა შეადგენს 28,5 კრედიტს;

1.5.2 კვალიფიკაციის შეუსაბამობიდან გამომდინარეობს პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შეუსაბამობაც: პროგრამის მიხედვით მესამე საფეხურზე დაიშვება პირი, რომელსაც დასრულებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და სრული განათლება, “ პროფესიული სწავლების საოფისე საქმის მწარმოებლის I და II საფეხური“; (ყოველი საფეხურის გავლის წინაპირობაა წინა საფეხურის დიპლომი ან წინა საფეხურით გათვალისწინებული ცოდნის უნარების და ღირებულების აღიარება კანონმდებლობის მიხედვით)

1.5.3 პროგრამის სწავლის შედეგები არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

1.5.4 ზოგადი კომპეტენციები არ შეესაბამება საფეხურის მოთხოვნებს;

1.5.5 პროგრამაში არ არის განსაზღვრული მიზნები;

1.6 <u>საავტომობილო ტექნიკის მომსახურების მექანიკოსი</u>

1.6.1 საავტომობილო ტექნიკის მომსახურების მექანიკოსის კვალიფიკაცია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ არის გათვალისწინებული. კანონმდებლობა ითვალისწინებს ავტომობილის ზეინკლის პროფესიულ კვალიფიკაციას

1.6.2 არ არის შესაბამისი პროგრამაზე დაშვების წინაპირობაც, რომელიც მოითხოვს პროფესიული სწავლების საავტომობილო ტექნიკის მომსახურების მექანიკოსის სპეციალობის I და II საფეხურის დასრულებას (თუ მესამე საფეხურს ეს პროგრამა ანიჭებს, მაშინ I და II საფეხურები არ არსებობს);

1.6.3 პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებს არ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

1.6.4 ზოგადი კომპეტენციები არ შეესაბამება საფეხურის მოთხოვნებს;

1.6.5 პროგრამაში არ არის განსაზღვრული მიზნები;

1.7 <u>კომპიუტერული სისტემების ოპერატორი</u>

1.7.1 <u>კომპიუტერული სისტემების ოპერატორის კვალიფიკაცია</u> საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ არის გათვალისწინებული, კანონმდებლობა ითვალისწინებსსატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორის კვალიფიკაციას და შესაბამსიად პროფესიულ სტანდარტს.. პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა: კომპიუტერული სისტემების ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რაც წინააღმდეგობაში არ მოდის სტანდარტის მოთხოვნებთან.

1.7.2 პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამოა პროგრამის შედეგებიც.

1.7.3 ზოგადი კომპეტენციები არ შეესაბამება საფეხურის მოთხოვნებს;

1.7.4 პროგრამაში არ არის განსაზღვრული მიზნები;

1.8 <u>მზარეულ-კონდიტერი</u>

1.8.1 კვალიფიკაცია არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. პროგრამით გათვალისწინებულია მისანიჟებელი კვალიფიკაცია მზარეულ-კონდიტერი, როდესაც კვალიფიკაციათა ჩარჩო ითვალსიწნებს ცალკე კონდიტერისა და მზარეულის პროფეისულ კვალიფიკაციებს, რაც გუსიხმობს იმას, რომ აღნიშნული პროგრამა არ ჯდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებში.

1.8.2 პროგრამის მოცულობა, სწავლის შედეგები, მიზნები სრულაიდ არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს,

1.9 <u>კბილის ტექნიკოსი</u>

1.9.1 პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებს არ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.9.2 ზოგადი კომპეტენციები არ შეესაბამება საფეხურის მოთხოვნებს;

1.9.3 პროგრამაში არ არის განსაზღვრული მიზნები;

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მათ უკვე გამოასწორეს აღნიშნული ხარვეზები.

კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს შეუძლია შეისწავლოს არაარსებითი ხარვეზების გამოსწორების საკითხი და გამოსწორებულად ჩათვალოს მხოლოდ ისეთი არაარსებითი ხარვეზები, რომელთა გამოსწორების დადასტურებაც ამავე საბჭოს სხდომაზე დამაჯერებლად და მარტივად, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დოკუმენტური შემოწმებითაც შეუძლია ავტორიზაციის ექსპერტსა და თავად საბჭოს შემადგენლობას. მოცემულ შემთხვევაში, კი საჭიროა პროგრამული სტანდრარტის კომპექსური არსებითი გადამოწმება, რისი არც უფლებამოსილება და არც შესაძლებლობა საბჭოს სხდომის ფორმატში არ აქვს.

შპს - ,,ახალგაზრდობის" დირექტორმა ითხოვა კბილის ტექნიკოსის პროგრამის შენარჩუნება.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოზე იხილებოდა შპს - ახალგაზრდობისათვის პროფესიული პროგრამების განხორციელების მინიჭების უფლებამოსილების საკითხი. ექსპერტთა დასკვნაში ყველა პროგრამასთან მიმართებით იყო წარმოდგენილი არსებითი ხასიათის შენიშვნები, მათ შორის კბილის ტექნიკოსის პროგრამასთან მიმართებითაც. შესაბამისად, შეუძლებელი იყო მსჯელობა კონკრეტული პროგრამის შენაჩუნებაზე, რადგანაც მთლიანად დარღვეული იყო საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ახალგაზრდობისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის , მე -14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების", მე -13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ახალგაზრდობას უარი ეთქვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების
უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

დაწესებულების დირექტორმა ითხოვა, 22 პროფესიული სტუდნეტს, რომელიც ირიცხებოდა დაწესებულებაში მისცემოდათ შესაძლებლობა დაემთავრებინათ სწავლა.
თავმჯდომარემ განმარტა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება საბჭოს არ ჰქონდა და შესთავაზა დაწესებულებას კონსულტაციების გავლა ცენტრთან.

სხდომის თავმჯდომარემ, შემდეგ, კენჭისყრაზე დააყენა შპს - ახალგაზრდობის ავტორიზაციისა - მისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ახალგაზრდობას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245422993) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80-ით.

6. შპს - ფრანგული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს ,,ინსტა-ჯორჯიასთან" ქიმია, ფიზიკა და ბიოლიგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების შეძენის თაობაზე (138000 ლარის ღირებულების). ექსპერტთა ვიზიტისას დაწესებულებას გადახდილი ჰქონდა 6900 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდა სკოლას დამატებით გადახდილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესყიდვის საფასური. ავტორიზაციის ექპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შპს - ,,ინსტა-ჯორჯიასთან" დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს - ფრანგულ სკოლას საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ღირებულების დანარჩენი ნაწილი უნდა გადაეხადა 2011 წლის ბოლომდე.

კახი ყურაშვილი დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა სკოლაში უსაფრთხოების დაცვა. დაწესებულების დირექტორმა ლუიზა თუთარაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლაში მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას იცავდნენ მანდატურები.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შპს - ფრანგულ სკოლას დამატებით შეკვეთილი ჰქონდა 120 ინდივიდუალური მერხის დამზადება. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, შეეძლო თუ არა დაწესებულების დირექტორს საბჭოს წევრებისთვის წარედგინა 120 ინდივიდუალური მერხის დასამზადებლად საჭირო თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლის დირექტორმა კახი ყურაშვილს მოახსენა, რომ მას ასეთი დოკუმენტაცია თან არ ჰქონდა წამოღებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 200-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 90 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ფრანგული სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ფრანგულ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245438281) 5წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი , დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

7. შპს - თამარი გარეჯელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლა განთავსებულია საგარეჯოში, სტალინის ქუჩა №15-ში (528 კვ.მ) მდებარე საბავშვო ბაღის მესამე სართულზე და ლესელიძის ქუჩა №15-ში (15 კვ.მ). სტალინის ქუჩა №15-ში შპს - თამარ გარეჯელი ფართს ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. მეორე მისამართზე მითითებული ფართი სკოლას ნაქირავები აქვს იმ შემთხვევისათვის, თუ მას ეყოლება სსსმ მოსწავლე. ექსპერტთა ვიზიტისთვის ამ ფართის ქირავნობის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული, თუმცა დაწესებულებას ჰქონდა საჯარო რეესტრში განცხადების მიღების ბარათი.

1.2 დაწესებულების სარგებლობაშია სპორტული დარბაზი, რომელიც სარემონტო მდგომარეობაშია. დღეისათვის ხელშეკრულების საფუძველზე სკოლა სარგებლობს საბავშვო ბაღის სააქტო და სპორტული დარბაზით, აგრეთვე, საგარეჯოს რწმუნებულის 29.09.2011 წლის №41 წერილის საფუძველზე იყენებენ სკოლის მიმდებარე სპორტულ კომპლექსაც.

1.3 სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისათვის საჭირო ლაბორატორიული მოწყობილობები, რადგან ახორციელებს მხოლოდ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას.

1.4 სკოლის ძირითად შენობაში ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეებისათვის არ არის დამონტაჟებული.

1.5 პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაწესებულებას არ ჰყავს მანდატური.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელს – არჩვაძე თამარი – დამთავრებული აქვს ქ. თბილისის მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო №11 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის 2–წლიანი კურსი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულებამ წარმოადგინა სააჯარო რეესრრის ამონაწერი იჯარის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფილი იყო ლესელიძის ქუჩა №15-ში, რომელსაც დაწესებულება უკვე ფლობდა კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული შენიშვნა მოიხსნა.

დაწესებულების წარმომადგენლმა განმარტა, რომ სკოლის მფლობელობაში არსებულ სპორტულ მოედანზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, სკოლა სარგებლობდა საბავშვო ბაღის სააქტო და სპორტული დარბაზით, რისი უფლებაც მას საგარეჯოს რწმუნებულის წერილის საფუძველზე ჰქონდა.

დავით კახნიაშვილის განმარტებით შენიშვნა, უნდა მოხსნილიყო, რადგანაც დაწესებულება სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო დროებით სხვა სპორტულ დარბაზს იყენებდა, რისი უფლებაც მას ჰქონდა. შენიშვნა მოიხსნა.

დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან 2011 წლის 22 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება (ხელშეკრულების №106). ხელშეკრულების შესწავლის შედეგად შენიშვნა მოიხსნა.

ანა კლდიაშვილის განმარტებით ქ. თბილისის მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო №11 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის მიერ გაცემული დიპლომი არ იყო საკმარისი, იმისთვის რომ პირს მასწავლებლობის უფლება ჰქონოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თამარ არჩვაძეს პედაგოგად მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება ჰქონდა, რის საფუძველზეც ის მუშაობდა. საბჭოზე წარმოადგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ დაწესებულების წარმოამდგენელს და თავმჯდომარემ შენიშვნა მოხსნა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 100-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 68 მოსწავლესთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თამარ გარეჯელის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 68-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თამარ გარეჯელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 238111084) 5წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ,

დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 68-ით.

8. შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექს გონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატარიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები დაფიქსირებული არ იყო.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 700-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 412- მოსწავლესთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექს გონის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 412-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა დაწესებულების პირობები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების ნაწილში, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის საფუძველზე, ავტორიზაციის მაძიებელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, ასევე სურს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატარიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები დაფიქსირებული არ იყო.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა დაწესებულებისათვის განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთათვის გამოსაყოფი ადგილების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განსაზღვრულიყო 94 პროფესიული სტუდენტით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექს გონისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 94-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე -12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მრავალპროფილიან საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექს გონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212815863) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისა და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. შპს - მრავალპროფილიან საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექს გონს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 412-ით. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 94-ით.

9. შპს - საბაზო სკოლა მწიგნობარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ დაფიქსირდა შემდეგი სახის შენიშვნები.

1. **მატერიალურ რასურსთან მიმართებით:**

1.1 რომ სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისათვის საჭირო ლაბორატორიული მოწყობილობები, რადგან ახორციელებს მხოლოდ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას.

1.2 სკოლას არ ყავს მანდატურის სამსახური, მხოლოდ ჰყავს სასწავლო–დისციპლინარული მენეჯერი, რომელსაც დირექტორის ბრძანებით აკისრია მანდატურის ფუნქციები ქანთარიას ქუჩის ფართზე, ხოლო ვაჟა ივერიელის ქუჩაზე ამ ფუნქციას ასრულებს სკოლის დარაჯი.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა გაფორმებული ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას გააჩნია ორი ფართი სხვადასხვა მისამართზე. ერთ შენობაში არის მანდატური, განსხვავებით მეორე შენობისაგან, სადაც სულ 25 მოსწავლეა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენლის ზეპირი განმარტება, ამასთან აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სკოლას მეორე მისამართზე მხოლოდ 25 მოსწავლე ყავდა, მანდატურის სამსახურის არარსებობით, არ ირღვეოდა უსაფრთხო სკოლის კონცეფცია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 132-ით განსაზღვრა.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი მერხი ჰქონდა დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას ექსპერტთა ვიზიტის დროს ჰქონდა 111 ინდივიდუალური მერხი, ხოლო ამჟამად დამატებული აქვს 21 მერხი, რაც დასტურდება წარმოდგენილი ხელშეკრულებით.

ხელშეკრულება დაერთო სხდომის ოქმს.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ექსპერტი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 132 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს - საბაზო სკოლა მწიგნობარსშეეძლო 132 მოსწავლისათვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საბაზო სკოლა მწიგნობარის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 132-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საბაზო სკოლა მწიგნობარს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 132-ით.

20 საათსა და 53 წუთზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 21 საათსა და 39 წუთზე.

10. სპს - კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით;

1.1 სპს - კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელი მდებარეობს თბილისში, მარელისის ქ. №5, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე, ფლობს 516,17 კვ.მ ფართს. გარდა ამისა, სკოლას მარელისის ქ.№3-ში აქვს 26.60 კვ.მ. მიწის ფართი, რომელიც ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, გია გონგაძემ, გადასცა სკოლას. ამასთანავე, სკოლას იჯარით აქვს (კვირაში 5 დღე 09^{00}-14^{00} სთ.) აღებული ამავე მისამართზე მდებარე საბავშვო ბაღისგან ღია სპორტული მოედანი და სააქტო დარბაზი. სკოლა მდებარეობს № 65-ე ბაგა-ბაღის შენობაში. ბაღისა და სკოლის ფართის გამიჯვნის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლამ ვერ წარმოადგინა, თუმცა სკოლას აქვს შენობა-ნაგებობის გამიჯვნის ნახაზი. რომელიც წარდგენილია საჯარო რეესტრში. ადმინისტრაციის განმარტებით დოკუმენტი მზადების პროცესშია.

1.2 სკოლას არ ყავს მანდატური. 2011 წლის 30 ნოემბერს სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან-„ვიქტორია *სექიურითი*“,. სკოლას ასევე ჰყავს ღამის დარაჯი და დისციპლინის ოფიცერი.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა გაფორმებული ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მას უკვე ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან. აღნიშნული გარემოება საბჭოს თავმჯდომარემ ადგილზე გადაამოწმა. დაწესებულების ხელმძღვანელმა წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან 2011 წლსი 20 დეკემბერს გაფორმებული №88 ხელშეკრულება.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და

მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 250-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით უდასტურდება 822 კვ. მ. საერთო ფართი. ამასთან თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი კომპიუტერი ჰქონდა სკოლას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა 12 კომპიუტერი.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ექსპერტი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 240 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კერძო საშუალო სკოლა სპს - კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სპს - კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 208155761) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240-ით.

11. ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის სასულიერო სკოლა - პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განაცხადა რომ ექსპერტებს შენიშვნები არ დაუფიქსირებიათ.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 200-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 200 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის სასულიერო სკოლა - პანსიონის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის

სასულიერო სკოლა-პანსიონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 239406674) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

12. შპს - ქართულ - ამერიკული სკოლა პროგრესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

მაკა ბარათაშვილს მოწვეულია გეოგრაფიის მასწავლებლად (2006 წლის 30 აგვისტოს გენერალური დირექტორის ბრძანება #136), მას დამთავრებული აქვს საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი სატყეო-სამეურნეო სპეციალობით და მიენიჭა „სატყეო მეურნეობების ინჟინერის“ კვალიფიკაცია; მაკა ბარათაშვილის ზეპირი განმარტებით, 1994 წლიდან 2005 წლის ჩათვლით მუშაობდა თერჯოლის რ -ნის სოფ. ნაგარევის საშუალო სკოლაში გეოგრაფიისა და სახვითი ხელოვნების მასწავლებლად, რისი დამადასტურებელი დოკუმენტი არსებობს პირად საქმეში, 1999 წელს გაიარა პედაგოგთა საატესტაციო გამოცდა გეოგრაფიაში და მიენიჭა პირველი კატეგორიის პედაგოგთა წოდება, (რისი დამადასტურებელი დოკუმენტიც ამჟამად არ არსებობს მის დოკუმენტაციაში), რადგანაც ზემოაღნიშნული სკოლა დაიწვა 2005 წლის შემდეგ, ამიტომ არ აქვს ქართულ-ამერიკულ სკოლაში წარდგენილი შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზეპირ მოსმენაზე წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც დაერთო სხდომის ოქმს.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 700-ით განსაზღვრა.

თავჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი ინდივიდუალური მერხი გააჩნდა სკოლას და რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა მასში ამ დროისათვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში ამჟამად იყო 465 მერხი. რაც შეეხება მოსწავლეთა რაოდენობას შპს - ქართულ - ამერიკულ სკოლა პროგრესში ირიცხებოდა 520 მოსწავლე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა რაოდენობის 700-ით განსაზღვრის შემთხვევაში, მერხების შეძენა არ იქნებოდა პრობლემა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, განმარტა რომ საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 545 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აიბი-მთიების ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 545-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქართულ - ამერიკულ სკოლა პროგრესს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 545-ით.

13. შპს - სინათლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას ამჟამად ლაბორატორია არ გააჩნია, თუმცა შპს - ,,ჯეო დეკორთან" 2011 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორიული აღჭურვილობის (208 დასახელება) შესყიდვაზე. 2011 წლის 6 ოქტომბერს სკოლის მიერ ავანსად გადარიცხულია 1200 ლარი (ღირებულების 10%). ხელშეკრულების შესაბამისად საქონლის მიწოდება უნდა შესრულდეს 10%-ის გადარიცხვიდან 50 დღეში (5 0 დღის ვადა ამოიწურა 2 5 ნოემბერს), რის შემდეგაც სკოლამ 3 დღეში უნდა გადაიხადოს ჯერ 40%, ხოლო 2011 წლის 31 დეკემბრამდე დარჩენილი 50%. მიუხედავად ამისა საქონლის მიწოდება ჯერ არ განხორციელებულა. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლის დირექტორი დაუკავშირდა შპს - „ჯეო დეკორის" წარმომადგენელს და წარმოადგინა წერილი, სადაც კომპანიის დირექტორი ამცნობს შპს - სინათლის დირექტორს, რომ საზღვაო ტრანსპორტის შეფერხების გამო ლაბორატორიის მიწოდებას განახორციელებს 2011 წლის 28 დეკემბრამდე.

1.2 სკოლაში არის 13 საკლასო ოთახი. საკლასო ოთახებიდან ორ მათგანს ფანჯრების ნაცვლად აქვს ე.წ. მინა-ბლოკის კედელი. შესაბამისად 2 კლასი მოკლებულია ბუნებრივ განათებას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით დაგეგმილია მათი შეცვლა ჩვეულებრივი ფანჯრებით, მაგრამ აღნიშნულის განხორციელება ვერ მოესწრო ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში. ასევე 2 საკლასო ოთახს ჭერთან აქვს საშუალო ზომის ფანჯრები, ხოლო 1 საკლასო ოთახის განათება ხდება დერეფანში გამავალი ფანჯრით.

1.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სკოლას არ ჰყავს. მიუხედავად ამისა მოწყობილია პანდუსი პირველ სართულზე მოსახვედრად, სადაც განთავსებულია კომპიუტერული კლასი და სკოლის ადმინისტრაცია. პირველი სართულიდან მეორე სართულზე, სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკა და იგეგმება ლაბორატორიის მოწყობა, ასასვლელი პანდუსი არ არის. სკოლის დირექტორის განმარტებით მე-2 სართულზე ასასვლელად აპირებს პანდუსის დამონტაჟებას.

1.4 დაწესებულებაში პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სკოლის მენეჯერი. სკოლას მანდატური არ ჰყავს. სკოლას აქვს საკუთარი ეზო, რომელიც შემოღობილია და კონტროლდება ვიდეოკამერით (უკანა გასასვლელის მხარე). თანდართულ

დოკუმენტებში, აღნიშნული გარე კამერის ტექნიკურ მახასიათებლებში არ არის მოცემული ის პარამეტრები, რომლებიც აღწერილია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებში.

სკოლის ორივე სართულზე და მანსარდზე არის უსაფრთხოების თითო კამერა. მთავარ შესასვლელზე და ნახევარსარდაფზე კამერა დამონტაჟებული არ არის. დაწესებულება აპირებს ერთი კამერის დამონტაჟებას მთავარ შესასვლელზე, ხოლო ერთი კამერა გამიზნული აქვს პირველი სართულისთვის. ამ მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ჯესკო ჯგუფთან“, რომლის მიხედვითაც შემსყიდველმა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 დღეში უნდა გადაიხადოს თანხის 60%, დარჩენილი 40%-ის გადახდა უნდა მოხდეს სამუშაოს შესრულების შემდეგ. სკოლას 2011 წლის 2 ნოემბერს გადახდილი აქვს საფასურის 60%. ხელშეკრულებით „ჯესკო ჯგუფს“ სამუშაო უნდა შეესრულებინა 2011 წლის 30 ნოემბრამდე. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, სკოლის დირექტორმა წარმოადგინა შეთანხმება რომლის თანახმადაც სამუშაოები უნდა შესრულდეს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მიწოდების განუხორციელებლობისათვის პასუხი უნდა ეგო არა სკოლას, არამედ მიმწოდებელ კომპანიას. შესაბამისად, მისი აზრით, 1.1 შენიშვნა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს არ უნდა გაეთვალისწინებინათ. ავტორიზაციის საბჭოს წევრები დაეთანხმნენ საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებას.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი ლალი ღოღელიანი დაინტერესდა, თუ რა ფერისა იყო დაწესებულების 2 საკლასო ოთახში დამონტაჟებული მინა-ბლოკის კედელი და რამდენად უშლიდა იგი ბუნებრივი განათების შეღწევადობას საკლასო ოთახებში. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ საკლასო ოთახებში მინა-ბლოკის კონსტრუქცია უკვე მოხსნილი იყო და შესაბამისად, ორივე ოთახში იყო ბუნებრივი განათება. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლის დირექტორმა გოჩა ლომიძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა სათანადო ფოტომასალა.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ მე-2 სართულზე ასასვლელად დაწესებულებას უკვე დამონტაჟებული ჰქონდა პანდუსები. აღნიშნულის დასადასტურებლად გოჩა ლომიძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა ფოტომასალა. ავტორიზაციის ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ ფოტომასალის ადგილზე შესწავლის შედეგად დაადასტურა, რომ შპს - სინათლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის მე-2 სართულზე ასასვლელად დამონტაჟებული ჰქონდა პანდუსები.

კახი ყურაშვილი დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა სკოლაში უსაფრთხოების დაცვა. დაწესებულების დირექტორმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებას 2011 წლის 22 დეკემბერს სკოლას სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება (ხელშეკრულების №103). აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების დირექტორმა საბჭოს წევრებს წარუდგინა შესაბამისი ხელშეკრულება.

უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ შპს - სინათლეს შპს ,,ჯესკო ჯგუფთან” დადებული ჰქონდა ნასყიდობის ხელშეკრულება. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა უსაფრთხოების კამერების დამონტაჟების დამადასტურებელი ფოტო მასალა. ავტორიზაციის ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ ფოტო მასალის ადგილზე შესწავლის შედეგად ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლაში დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების კამერები.

კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს შეუძლია გამოსწორებულად ჩათვალოს მხოლოდ ის არაარსებითი ხარვეზები, რომელთა გამოსწორების დადასტურებაც იმავე საბჭოს სხდომაზე დამაჯერებლად და მარტივად, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დოკუმენტური შემოწმებითაც შეუძლია ავტორიზაციის ექსპერტს.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 140-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 132 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სინათლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 132-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სინათლეს (საიდენტიფიკაციო კოდი: 215596200) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი , დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 132-ით.

14. შპს - არეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო კაბინეტის - ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიის აღჭურვილობა. სკოლაში ლაბორატორიისთვის შესაბამისი ოთახი რემონტდება.

1.2 სკოლას არ ჰყავს მანდატური. წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მორიგე მასწავლებლები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების ხელმძღვანელმა წარმოადგინა მანდატურის სამსახურთან დადებული ხელშეკრულება.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 312-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არეას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 312-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - არეას (საიდენტიფიკაციო კოდი: 244555539) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 312-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:02 საათზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი